

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

09 აგვისტო 2017 წ.

თბილისი

№ 502/03

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების” მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის/სტუდენტებისათვის მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 31 ივლისის №679 ბრძანების გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- I. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნენ შემდეგი მოქალაქეები:
 1. რიკი მარტინ- ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე;
 2. კუნდუ სოუმი- ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე;
 3. აჰმედ ვ.ე. აბუიუსეფ- არაბთა გაერთიანებული საამიროების მოქალაქე;
 4. მუსტაფა ლაბაშ- სირიის არაბული რესპუბლიკის მოქალაქე;
 5. შაიხ უმაედ მოინუდინ- ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე;
 6. რამა სამი ისსა ტაჰა- იორდანის ჰაშემიტური სამეფოს მოქალაქე;
 7. გოპიკა ლაკშმი გოპალან- ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე.
- II. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნეს ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე- არია რაჰიმი.
- III. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის რუსულენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნეს რუსეთის ფედერაციის მოქალაქე- აფეტ ალიევა.
- IV. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის რუსულენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნას რუსეთის ფედერაციის მოქალაქე - თორნიკე ასანიძე.

V. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე ჩარიცხულ იქნან შემდეგი მოქალაქეები:

1. აჩსაჰ მადჰუსუდანან- ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე;
2. მირზა მოჰამად ადილ ბაიგ- ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე;
3. ამრენ სულტან მეემ- ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე.

VI. ამ ბრძანების პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე პუნქტებით განსაზღვრულ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროთ 2017 წლის 01 დეკემბრამდე.

VII. ამ ბრძანების მეხუთე პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროთ 2017 წლის 01 ნოემბრამდე.

VIII. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხული სტუდენტის სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამის დირექტორს ე. ეკალაძეს, თსსუ-ის უცხოელ სტუდენტთა განათლებ ის დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას და თსსუ-ის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანს ს.მღებრიშვილს.

IX. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

X. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს რ. ბერიაშვილს, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამის დირექტორს ე. ეკალაძეს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს დ. დელიბაშვილს, თსსუ-ის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანს ს.მღებრიშვილს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ზ. ტალახაძეს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს ნ. მარიამიძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.

XI. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.



პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი